ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 123

"27" აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გოძიაშვილის ქ. №22, №24-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.10.10.020.156) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 4 მარტის №10 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 21 აპრილის №04/7711 წერილის (AR1380821) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გოძიაშვილის ქ. №22, №24-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.10.10.020.156) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების ცვლილება და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1380821 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2.აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

სქემტრონ-1		
მიწის ნაკვეთის ფართი		2175 მ²
ქ1 საანგარიშო ფართი		650 მ²
ქ2 საანგარიშო ფართი		12400 მ²
ქ3 საანგარიშო ფართი		115 მ²
ქ1=0.3;	ქ2=5.7;	ქ3=0.1

სქემტრონ-2		
მიწის ნაკვეთის ფართი		2434 მ²
ქ1 საანგარიშო ფართი		620 მ²
ქ2 საანგარიშო ფართი		9039 მ²
ქ3 საანგარიშო ფართი		352 მ²
ქ1=0.3;	ქ2=3.7;	ქ3=0.1

სქემტრონ-3		
მიწის ნაკვეთის ფართი		3121 მ²
ქ1 საანგარიშო ფართი		900 მ²
ქ2 საანგარიშო ფართი		9900 მ²
ქ3 საანგარიშო ფართი		463 მ²
ქ1=0.3;	ქ2=3.1;	ქ3=0.1

შეთანხმებულია

ქ. თბილისის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახური"

შენიშვნა

1. ფრაგმენტულად შეძენილი შენობა
2. ფრაგმენტულად ნაგებ. შენობები
3. საბავშვო ბაღი
4. სპორტული, საბავშვო და დასასვენებელი მოედანი

ადგილობრივი აღნიშვნები

- პარკინგი
- საარეალურ საზღვარი
- მიწის ნაკვეთის საზღვარი
- ბანაშენიანობის რეგულირების ხაზი
- შენობები
- I სართულის კონტური
- მიწისქვეშა ნაგებობის (პარკინგის) კონტური
- საავტომობილო გზები და სავალდები
- სავალალი
- 13 შენობათა სართულიანობა
- I ჭრილის ხაზი
- მიწისქვეშა პარკინგში შესასვლელი
- სანაგებლ გუნდრეკების ადგილი

1	
1	2
3	4
5	6
7	

1 სქემტრონის ნომერი

1. ზონის სახეობა
2. სართულიანობა ან სიმაღლე
3. ბანაშენიანობის კოეფიციენტი ქ-1
4. ბინაშენიანობის ინტენსივობის კოეფიციენტი ქ-2
5. ბაღოსანების კოეფიციენტი ქ-3
6. ბინაშენიანობის ტიპი (ღია, დახ.)
7. ნაკვეთის ფართი

ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები

საერთო ტერიტორიის ფართი (სზ-6)	7730 მ²
ბინაშენიანების ფართი	2170 მ²
ბინაშენიანების ზერმარი ფართი	31250 მ²
ბაღოსანების ფართი	930 მ²
პარკინგადგილების რაოდენობა	200

ქ1=0.3; ქ2=4.0; ქ3=0.1

ობიექტი: „ფრაგმენტული საცხოვრებელი კომპლექსი ვასო გოძიაშვილის ქ. N24-ში ნაკვეთი N01.10.10.020.156"

დეტალური შესრულებულ ზონირების რუკა

მენეჯერი	ო. ბაზარაძე		
არქიტექტორი	ბ. ფალიანიშვილი		
	მ. ფალიანიშვილი		
ინჟინერი	ბ. ფალიანიშვილი		
სტადია	ბრ.ტ.	მასშტაბი	1:500
შენიშვნა	ა-3	ფორმატი	
ნომერი			